# ხელშეკრულება №52
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 30 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდის“ , ქ. ბაღდათი რუსთაველის ქ.№68 (შემდგომში – შემსყიდველი), ფონდის დირექტორის ნინო კვირიკაძის სახით და მეორეს მხრივ, ----[illegible]------------------------დირექტორის---------------------- სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: ა.(ა).ი.პ. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი“ ბიუჯეტის სახსრებით საოფისე ნივთების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვით. CPV კოდი: 301 00 000 საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: მომსახურება, საოფისე ნივთების შესყიდვა.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ----30---- (----ოცდაათი----------------) ლარს.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 15 სექტემბერი.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ქუთაისი

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში.
7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი ბაღდათი

## *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 15 ოქტომბერი.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს„ფონდის“ ოფისის ტექნიკური მენეჯერი გიორგი გეგეშიძე.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

ა.(ა).ი.პ. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი“
ქ. ბაღდათი რუსთაველის ქ.№68
სახელწიფო ხაზინა

ა/ა-3441400000

ფონდის დირექტორი
ნინო კვირიკაძე ---------------------

**მიმწოდებელი:**

შ. პ. ს. რაპაკა
ს/კ. 412704505
[illegible]
[illegible]
ბ/კ. TBCBGE22
ა/ნ. GE54TB0013600100045900